№3-845 27.01.2023

ჰიპერმარკეტ „გუდვილი საბურთალოს"

თბილისი, ქავთარაძის ქ. 1

პატივცემულო ქალბატონო/ბატონო,

გაცნობებთ, რომ საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მომხმარებლის უფლებების დაცვის პროგრამის მიერ განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში თქვენს ჰიპერმარკეტში შეძენილ იქნა *"რა კარგია" კვერცხი, შპს "ეკო კვერცხი" (სპეციალურად გუდვილისთვის), გარდაბნის რაიონის სოფ. სართიჭალა, ტ. 550 00 11 22; კვერცხის დადების/ვარგისიანობის თარიღი: 10.01.2023-10.02.2023.*

საქართველოს კანონმდებლობის თანხმად, სურსათის ეტიკეტზე ტერმინების – „ბიოლოგიური", „ეკოლოგიური", „ეკო", „ბიო", „ორგანული" – ნებისმიერი კომბინაციით დასატანად, პროდუქტი ბიოწარმოების სპეციალური წესის შესაბამისად უნდა იყოს წარმოებული და ამის დამადასტურებელი სერტიფიკატი უნდა მიიღოს. სურსათის ეტიკეტზე კი მითითებული უნდა იყოს სერტიფიკაციის ორგანოს დასახელება, საიდენტიფიკაციო კოდი და/ან ლოგო (სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი, პ. 18,3; საქართველოს მთავრობის დადგენილება №198 ბიოწარმოების შესახებ, პ. 15,10).

ზემოაღნიშნული პროდუქტის ეტიკეტზე არ იყო სერტიფიკაციის ორგანოს რეკვიზიტები მითითებული. ასე რომ, გაურკვეველია რამდენადაა ეს პროდუქცია მართლაც „ეკოლოგიური" და საქართველოში მოქმედი ეტიკეტირების წესი დარღვეულია.

პროდუქტის ფოტოსა და შესყიდვის დამადასტურებელ დოკუმენტს გიგზავნით დანართად.

გთხოვთ მოახდინოთ რეაგირება.

გაცნობებთ აგრეთვე, რომ ინფორმაცია აღწერილი ფაქტის შესახებ გაშუქდა ჩვენს ვებპორტალზე www.momxmarebeli.ge. ინფორმაციაში კონკრეტულად არის მითითებული თქვენი ფირმის დასახელება. იმისთვის, რომ ასეთმა გაშუქებამ თქვენი ინტერესები უსამართლოდ არ დააზიანოს, ჩვენ გაძლევთ საშუალებას დაიცვათ თქვენი ინტერესები შემდეგი შესაძლებლობებით:

- თუ მიგაჩნიათ, რომ ვებპორტალზე თქვენი ფირმის შესახებ ინფორმაცია არასწორია, შეგიძლიათ გამოთქვათ ეს მოსაზრება იქვე, იმავე სტატიაზე კომენტარების საშუალებით. კომენტართან ერთად შეგიძლიათ ატვირთოთ თქვენი სისწორის დამადასტურებელი დოკუმენტები, ფოტოები ან

www.moxmarebeli.ge
მომხმარებელი
საკითხს აშუქებს

ბმულები. ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ თქვენს მიერ ატვირთული მთელი ინფორმაცია უცვლელად, და ჩვენს მიერ გაშუქებული ინფორმაციის თანაბრად იყოს ხელმისაწვდომი მომხმარებლებისთვის;

- თუკი ჩვენს მიერ გავრცელებულ ინფორმაციას ეთანხმებით, მაგრამ უკვე გამოასწორეთ ის დარღვევა, რომელიც ჩვენს სტატიაშია გაშუქებული, ჩვენ მზად ვართ იგივე მეთოდით გავაშუქოთ ეს გარემოება. ამისთვის უნდა გვაცნობოთ იმის შესახებ, რომ თქვენ გამოასწორეთ დარღვევა და გსურთ ამის დაფიქსირება. ამის შემდეგ ჩვენი წარმომადგენელი გაუფრთხილებლად ეწვევა თქვენს მაღაზიას და, საჭიროების შემთხვევაში, შეისყიდის იმავე დასახელების სურსათს დამატებითი შემოწმებისათვის. მიღებული შედეგები გაშუქდება იმავე გვერდზე, სადაც აღმოჩენილ დარღვევაზე იყო საუბარი. გთხოვთ გაითვალისწინოთ, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის თავიდან ასაცილებლად, მიღებული დადებითი შედეგი კიდევ გადამოწმდება.

ამავე დროს, გთხოვთ, ჩვენთან ურთიერთობაში შემოიფარგლოთ მხოლოდ გამჭვირვალე მეთოდებით: www.momxmarebeli.ge ვებპორტალზე ან ფეისბუქის შესაბამის გვერდზე (http://www.facebook.com/momxmarebeli.ge) კომენტირებით, ან ორგანიზაციის ტელეფონზე დარეკვით.

ინფორმაცია ჩვენს მიერ აღმოჩენილი ფაქტის შესახებ აგრეთვე გადაეგზავნა სურსათის ეროვნულ სააგენტოს.

პატივისცემით,

ვახტანგ კობალაძე

პროგრამის კოორდინატორი

გუდვილი საბურთალო
შპს ჰიპერმარკეტი საბურთალო
პეტრე ქავთარაძის ქ. N1
ს/კ 405500792
17/01/2023 15:16
არა ფისკალური 00062359
არა ფისკალური
გუდვილი საბურთალო
ქავთარაძის ქ. 1, თბილისი
ტერმინალ ID: SH029825
ჩეკი 0196
ყიდვა
თანხა 4.80 GEL
VISA N
4489 65** **** 5909
AID A0000000031010
LABEL VISA DEBIT
დადასტურებულია
პასუხის კოდი: 000
ავტორიზაციის კოდი: 265728
RRN: 301711849212
თარიღი 17.01.23 დრო 15.20.40
მადლობა
===============================
Business Solutions APEX.GE
არა ფისკალური

გუდვილი საბურთალო

1 სასაქონლო ზედნადები № ელ-0716535770

17/01/2023
...არიღი (რიცხვი, თვე, წელი)

3 15:17
დრო (საათი, წუთი)

...იალო 405500792
...და გვარი — საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი

5 ფონდი საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი 204873618
მყიდველის(მიმღების) დასახელება ან სახელი და გვარი — საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი

7 ქ. თბილისი, ქავთარაძის N 1
ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

8 იოველ ჯებაშვილის 5 ა
ტრანსპორტირების დამთავრების ადგილი (მისამართი)

10
სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი — მისაბმელი

12 გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი 0.00

სასაქონლო ზედნადების ცხრილი

	...ასახელება	საქონლის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეულის ფასი *	საქონლის ფასი *
I	II	III	IV	V	VI	VII
1	„რა კარგია" - კვერცხი თეთრი (10ც) - M-1	2101011303543	ცალი	1.0000	4.8000	4.8000
2						
3						
4						
5						
6						
7						
8						
9						
10						
11						
12						

13 4.80 ოთხი ლარი და ოთხმოცი თეთრი
თანხა სულ (სიტყვიერად)

14 ნანა სხარულიძე
გამყიდველი (გამგზავნი) საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი) და გვარი)

15 ნია ჭელიძე
მყიდველი (მიმღები) საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი) და გვარი)

16
ხელმოწერა

17
ხელმოწერა

18 მიწოდებული საქონლის ჩაბარების
თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) დრო (საათი, წუთი)

ჰიპერმარკეტი საბურთალო ... 405500792 ... ERMARKET SABURTALO LLC

19
შენიშვნა

* დღგ-ს გადამხდელისთვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზისჩათვლით

ზედნადების სტატუსი: დასრულებული

ბეჭდვის დრო:17/01/2023 15:17:55

100გ პროდუქტში: ცხიმი - 11,0გ. | მ.შ. ნაჯერი | ცხიმოვანი მჟავები - 3,13გ. | ნახშირწყლები - 0,52გ. | მ.შ. შაქრები - 0,37გ. | ცილა - 112,65გ. | მარილი - 0,0გ. | ენერგეტიკული ღირებულება: 635,4კჯ; 152კკალ. | სასტ. 20864518-003-2019
შენახვის პირობები: კვერცხი შეინახეთ სუფთა და მშრალ მდგომარეობაში. დაიცავით დაზიანებისგან და მზის სინათლისგან. 0 C° დან +10 C° მდე ტემპერატურის დროს 30 დღე-ღამე. 0 C° დან +20 C° მდე ტემპერატურის დროს 21 დღე-ღამე
Ra Kargia
EGG
კვერცხი
Exclusively at Goodwill
დამზადებულია საქართველოში შპს "ეკო კვერცხის" მიერ, სპეციალურად გუდვილისთვის. გარდაბნის რაიონი, სოფელი სართიჭალა, საქართველო. ტელ.: +995 550 00 11 22
2 101011 303543 >
Exclusively at Goodwill
კვერცხი
კვერცხი/EGG
M-1
კატეგორია
700გ. ± 30გ.
მასა
10 ცალი
რაოდენობა
გამოიყენება
10. 02. 2023
-მდე